კომერციული ბანკი სს „თიბისი ბანკი“-სთვის (ს/კ 204854595) დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „თიბის ბანკი“ (ს/კ 204854595, ლიცენზიის ნომერი №85) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 3^2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 3,000 (სამი ათასი) ლარით დააჯარიმა.

კომერციული ბანკი დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა).